საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 487 2021 წლის 26 მარტი ქ. თბილისი

„COVID-19-ის ვაქცინის შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 მარტის №379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „COVID-19-ის ვაქცინის შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 მარტის №379 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. მოწონებულ იქნეს ამ განკარგულების პირველი პუნქტის ფარგლებში შესყიდული ვაქცინის ტრანსპორტირებასა და დაზღვევასთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებები. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებების

მიმართ გავრცელდეს ამ განკარგულების სხვა დებულებები, შინაარსის გათვალისწინებით.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი